განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ანგლისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
30/10/2019

ანგარიშის წარდგენის თარიღი
2019 წლის 4 დეკემბერი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების ტიპი | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | ანგლისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი (100502) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მარ გუთიერეზ-კოლონ პლანა უნივერსიტეტი როვირა ი ვირჯილი, ესპანეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო ჯოჯუა, დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლალი ბერიშვილი, წმ. გიორგის ბრიტანულ-ქართული სკოლა, თბილისი, საქართველო |

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანჟელა აბულაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა წარმოდგენილია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში უკვე არსებული პროგრამის განსახილველად.

პროგრამა კარგად არის შედენილი, ხარისხის სტანდარტების შესაბამისად: ის სწორად ვითარდება მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსისა და სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, სტუდენტთა სერვისების თაბახმად და ა.შ. მატერიალური რესურსები, დაწესებულების ბიუჯეტი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგად არის ორგანიზებული და განხორციელებული

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბაკალავრიატის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა უზურნველყო მრავალი ინფორმაცია და ცნობა შემდეგი ანგარიშის შემუშავების მიზნით. ინსტიტუტში ჩატარებული ტურით (ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ოფისები და კორპუსები) გამოავლინა, რომ პროგრამა იყენებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**
  - სტანდარტი 1:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 2:მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 4:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 5:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციების რეზიუმე**
  - უნდა დაემატოს სწავლების / სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე.

- პროგარამში უდა იყოს სხვა ტიპის შეფასებაც.ეს, ალბათ, წარმოშობს აუდიტორიაში გამოყენებული მეთოდოლოგიების ცვლილების საჭიროებას.თუმცა, სამაგისტრო პროგრამის დონეზე, სტუდენტების ყველაუნარი უნდა შეფასდეს და ამისთვის საჭიროა სხვა გზების ძიებაც, გარდა გამოცდებისა.

- **რჩევების რეზიუმე**
  - კურსების უმეტესობა, თუ არა ყველა მათგანი უნდა ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მაქსიმალური ზემოქმედება მიზნობრივ ენაზე.
  - პროგრამა, საგნების მიზნებითა და შინაარსით, უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე.ამ გზით, მომავალი სტუდენტები შეძლებენ მოიძიონ ინფორმაცია და აირჩიონ პროგრამა
  - საჭიროა მეტი კომუნიკაციური ტიპის აქტივობები ინგლისურ ენაზე, რათა სტუდენტებს არ შეექმნათ სირთულეები სამუშაოს ძიების დროს.
  - საჭიროა უკეთესი მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების ორგანიზება მასწავლებელთათვის.
  - შეიტანეთ აქტივობები კრიტიკული აზროვნების უნარებით.
  - პროგრამის სათაური უნდა გადაიხედოს და უნდა შეესაბამებოდეს ან "სამაგისტრო პროგრამას ანგლისტიკაში" ან "სამაგისტრო პროგრამა ანგლომცოდნეობაში".
  - გადახედეთ საგნების წიანპირობებს:
  - გადახედეთ კურსის ლიტერატურას და ჩაანაცვლეთ უფრო თანამედროვე ლიტერატურით.
  - ტრანსფერული უნარ-ჩვევები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი, კვლევა და რაც მთავარია ანალიტიკური უნარები, საჭიროა გამყარდეს.
  - უნივერსიტეტს უნფა ქონდეს ონლიან პლატფორმა.
  - პროგრამაში შეტანილი უნდა იქნას გადამზადების კურსები.ეს კარგი იქნება მათი კარიერისთვის.შესაძლოა, საკმარისი იყოს ონლიან კურსი (რომელსაც ექსპერტი წაიკითხავს).
  - რეგულაციების დანერგვა ყოველგვარი შესაძლო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (თუ არსებობს)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია და ისინი შეესაბამება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებსა და მისიას. ანგარიშის თანახმად, პროგრამის მიზანია დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ფილოლოგის მომზადება. რადგანაც პროგრამა ხორციელდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, იგი ითვალისწინებს ორიენტირებულ სამეცნიერო მუშაობას და სტუდენტების მომზადებას უმაღლესი განათლების შემდეგი საფეხურისთვის - სადოქტორო პროგრამაზე.<br>ანგარიშის მიხედვით, იგი ითვალისწინებს შრომის ბაზარს, მათ შორის საერთაშორისო დონეზეც. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებულია ენით, რომელიც გამოიყენება სამაგისტრო პროგრამაზე. ეს ერთადერთი საკითხია, რომელიც არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს (ან როგორც მინიმუმ, დასახელებას).სწავლების ენა ქართულია და თითქმის არცერთი კურსი არ ისწავლება მიზნობრივ ენაზე. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს ერთმა პედაგოგმა აღიარა, რომ მინიმუმ ერთი საგანი უნდა ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე, მაგრამ, როგორც სილაბუსი აჩვენებს, ის ქართულად ისწავლება. როგორც ჩანს, პროგრამის პერსონალმა გააცნობიერა ეს პრობლემა, და რადგანაც შემდეგ, ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს პროფესორების ნაკლებობა, რომლებსაც შუძლიათ ინგლისურენოვანი კურსების ჩატარება, როგორც ზემოთ ხსენებული სირთულის მთავარი მიზეზი.<br><br>მიზნები შესაძლოა არ იყოს ყველასთვის გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა ისინი უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მოითხოვს მათ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>▪ პროგრამის მიზნები: |

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და/ან სტრუქტურული ერთეული;
- მემორანდუმი და შეთანხმებები პარტნიორ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან
- ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების ჩამონათვალი (2015-2017 წლების მონაცემები)
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

- კურსების უმეტესობა, თუ არა ყველა მათგანი უნდა ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მაქსიმალური ზემოქმედება მიზნობრივ ენაზე.

- პროგრამა, მიზნებითა და საგნების შინაარსით, უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე. ამ გზით, მომავალი სტუდენტები შეძლებენ მოიძიონ ინფორმაცია და აირჩიონ პროგრამა

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები არის ის ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებთან რეალისტურია, მაგრამ არა იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელთა პირისპირაც აღმოჩნდებიან სტუდენტები სწავლის დასრულების შემდეგ. პროგრამა აფასებს სტუდენტებს ზუსტად ისე, როგორც ისინი ფასდებიან ბაკალავრიატში, თითოეულ საგანში 3 გამოცდისა და ერთი ქვიზის

ჩაბარების გზით. სამაგისტრო პროგრამა უნდა იყოს აკადემიური სივრცე, სადაც სტუდენტები იძენენ კონკრეტულ ცოდნას, მაგრამ მათ ასევე უნდა განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება და უნდა შეიძინონ ინსტრუმენტები რეალური პრობლემების გადასაჭრელად და ა.შ. პროგრამამ უნდა შეცვალოს შეფასების სისტემა და გახადოს უფრო მეტად ორიენტირებული სტუდენტზე: უნდა მოიცავდეს დებატებს, საპროექტო სამუშაოებს ჯგუფურ მუშაობას, დავალებაზე დაფუძნებულ სწავლებას, ონლაინ სამუშაოს და ა.შ., ასევე ზოგიერთმა აქტივობამ უნდა მოიცვას ელექტრონულ ინსტრუმენტები, რომლებიც დახმარება სტუდენტებს ICT კომპეტენციის აითვისებაში. ერთ-ერთმა ლექტორმა ჯგუფს განუცხადა, რომ სტუდენტებს ჭირდებათ ხელმძღვანელობა, რადგან მათ არ შეუძლიათ იმუშაონ დამოუკიდებლად. ჩვენ გირჩევთ, მისცეთ მათ დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა (დასაწყისში გარკვეული მითითებებით) და თავად სტუდენტები ალბათ აღმოაჩენენ, რომ მათ ამის გაკეთების უნარი აქვთ. ალბათ მათ მანამდე არასდროს არ ჰქონიათ ამის შესაძლებლობა.

ასევე, როგორც პროგრამის სწავლის ერთ-ერთი შედეგშია ნათქვამი, სტუდენტებს შეეძლებათ ”იმოქმედონ ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში და მოიძიონ ინგლისური ფილოლოგიის რთული პრობლემების ახალი, ორიგინალური გადაწყვეტილებები”.ამ შედეგის განხორციელება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკული აზროვნების საკმარის რაოდენობას; ამასთან, არც გათვალისწინებულმა სილაბუსმა, არც მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ არ დაადასტურა, რომ ისინი მზად არიან ამისთვის.ამის ნაცვლად, ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, რომ სტუდენტებმა უნდა განავითარონ კრიტიკული აზროვნება და ცხოვრებისეული ეფექტურობის უნარები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამსაქმებელმა (ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელმა) ასევე მიუთითა აღნიშნულ პრობლემაზე.

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა უმეტესობა დაქირავებულია ტურისტული სააგენტოების, ბანკებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. უნდა დაემატოს, შეიცვალოს და /ან გაუმჯობესდეს ზოგიერთი კურსი, რომელიც კონცენტრირდება წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარების გამომუშავებაზე, (ყურადღება გამახვილდეს ეკონომიკურ ლექსიკაზე, ფსიქოლოგიის, მეთოდოლოგიის და ინტერპერსონალური უნარების სწავლება, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება და ა. შ. ). მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები, როგორც ჩანს, კმაყოფილნი არიან სტუდენტების ზოგადი ცოდნის დონით, ზოგიერთმა მათგანმა ასევე აღნიშნა, რომ ზოგ სტუდენტს არ შეეძლო პოზიციაზე მუშაობა, ინგლისური ენის კომპეტენციის და ასევე, ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების ნაკლებობის გამო.

პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარე მუდმივად კონტაქტშია პროგრამასთან. ჩანს, მათ ეამაყებათ, რომ უნივერსიტეტის ნაწილები არიან და ასევე, გამოხატეს კეთილი ნება პროგრამის გაუმჯობესებაში დახმარების გასაწევად.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება ზოგიერთი ინდიკატორის მიხედვით, რაც პირდაპირი მეთოდია შედეგების მისაღებად. ეს მაჩვენებლები გაანგარიშებულია „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად“. სამიზნე მაჩვენებელია 70% -ი, ხოლო თუ შეფასების

შედეგი გამოავლენს ცვლილების რაიმე საჭიროებას, ინდიკატორებზე ან პროგრამაზე, ორივე მათგანის შესწორება არის შესაძლებელი. სწავლის შედეგების შეფასების შედეგი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი თხოვნით, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა თანამშრომლების ტრენინგების ჩამონათვალი ბოლო 5 წლის განმავლობაში (თუმცა სია დამოწმებული არ არის). ამ ჩამონათვალის მიხედვით და ინტერვიუებში, როგორც პროფესორებმა განაცხადეს, უნივერსიტეტში ჩატარდა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, თუმცა ლექტორთა არცერთი CV არაა მსგავსი მათი, რომლებმაც გაიარეს ეს ტრენინგები (საკვალიფიკაციო საქმიანობა ძირითადად წარიმართება ინგლისური ენის ლექტორების მიერ და ისიც, ვიწრო სპეციალიზაციით). უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალში არ არის მითითებული ორგანიზაცია და პირები, რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგები. არც ამ სემინარების ხანგრძლივობა და მიზანი არის ნათელი. ყოველი შემთხვევისთვის, არ არსებობს ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, შეფასების ტიპებსა და ფორმებზე. ამიტომ, ჩვენ გთავაზობთ კურსების ორგანიზებას მისცეთ უფრო სტანდარტიზებული სახე, აგრეთვე, ისინი უნდა იყვნენ ინოვაციური და მიზნად ისახავდნენ პროგრამის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

პროგრამის სწავლის შედეგები არის ის ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები:
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე პროგრამის სწავლის შედეგების დაწესებაში;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (არსებული პროგრამის შემთხვევაში);
- ვებ-გვერდი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც არის საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სწავლის შედეგების შეფასების რუქა- ერთვის
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

| |
|---|
| სწავლის შედეგების შეფასების შედეგი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br><br>▪ სწავლის შედეგების შეფასების შედეგის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;<br>▪ ცვლილებების შედეგად მიღწეული წინსვლა;<br>▪ სწავლის შედეგების შეფასების შედეგის განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ოქმები და ა.შ.);<br>▪ გამოკითხვის შედეგები<br>▪ ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ უნდა დაემატოს სწავლების / სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**<br><br>● საჭიროა ინგლისურ ენაზე მეტი კომუნიკაციური აქტივობები, რათა სტუდენტებს არ შეექმნათ სირთულეები სამუშაოს ძიების დროს.<br>● მასწავლებელთა გადამზადებისთვის, საჭიროა, უკეთესი პროგრამების ორგანიზება<br>● შეიტანეთ კრიტიკული აზროვნების აქტივობები . |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთნ | | | |

| შესაბამისობა პროგრამასთან | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე და სამართლიანი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.რაც ნიშნავს, რომ პირი შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, თუ ის ფლობს მინიმუმ ბაკალავრიატის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, ერთიანი სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის საფუძველზე, როგორიცაა ინგლისური ენა, B2 დონის გამოცდა ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებლად მობილობით ჩარიცხვით ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე.

აგრეთვე პროგრამის წინაპირობაა, რომ ისინი საჯაროა და ხელმისაწვდომი, რადგან გამოქვეყნებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.ექსპერტთა პანელის რჩევაა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უფრო დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას, რადგან საკმარისი დეტალები არ არის ხელმისაწვდომი.ვებ-გვერდი (ინგლისური) აჩვენებს მხოლოდ პროგრამის სტრუქტურას და აქ საგანმანათლებლო პროგრამის სახელი ცოტათი დამაბნეველია (თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ სათაურს, როგორც "სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ანგლისტიკაში"), ხოლო ვებ-გვერდზე ნათქვამია: "სამაგისტრო პროგრამა ინგლისური ენის მცოდნეობაში").

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე მიღების მოთხოვნის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- ვებ-საიტი;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

პროგრამის სახელი უნდა გადაიხედოს და უნდა შეესაბამებოდეს ან "სამაგისტრო პროგრამას ანგლისტიკაში" ან "სამაგისტრო პროგრამა ინგლისური ენის მცოდნეობაში".

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამაგისტრო და სამაგისტრო პროგრამების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისი შინაარსი და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს. პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ამოირჩიონ 15 კრედიტი მოცულობის არჩევითი კურსები.

საგნების უმრავლესობას არ აქვს წინაპირობა, მაგრამ ჯგუფის აზრით, რამდენიმე მათგანს სჭირდება წინაპირობები. ე.წ. ,,ინგლისური და ქართული ენების კონსტრუქციული ტიპოლოგია", რომლისთვისაც ,,კურსი შედგენილია ინგლისურ ენაზე და ინახება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ( A4 ფორმატის 173 გვერდი), იგივეა ,,კვლევითი მეთოდების" შემთხვევაში, რომლებშიც ამოვიკითხავთ შემდეგ ინფორმაციას: ,,კურსი და სავალდებულო ლიტერატურა ინგლისურენოვანია" ნათელია, რომ სტუდენტები ძალიან კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას და ეს სადმე უნდა იყოს მითითებული, როგორც წინაპირობა.

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ კურსში სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია და უნდა შეიცვალოს უახლესი ლიტერატურით, სადაც ეს შესაძლებელია, მაგალითად: ,,კვლევის მეთოდები" (1992, 2000, 2001, 2007)<br><br>,,ინგლისურ-ამერიკული მოდერნული პოეზია" (2000, 2001, 2007) ესაა განსაკუთრებით საჭირო, როდესაც ვსაუბრობთ ისეთ სფეროებზე, რომლებიც ძალიან მდიდარია ბიბლიოგრაფიით და მიმანიშნებლებით. იმ შემთხვევაში, თუ ლექტორი ვერ პოულობს საჭირო წიგნს, საჭიროა სახეზე იყოს რეფერირებული ჟურნალები (WoS, SCOPUS, ERIH Plus და ა.შ.).<br><br>ვებ-გვერდი არ იძლევა კარგ ინფორმაციას პროგრამის შესახებ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>▪ უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგია;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ სილაბუსები;<br>▪ კურიკულუმის რუკა<br>▪ ვებ-საიტი;<br>▪ გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**<br><br>● გადახედეთ საგნების წინაპირობებს:<br>● გადახედეთ კურსის ლიტერატურას და ჩაანაცვლეთ უფრო თანამედროვე ლიტერატურით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3 სასწავლო კურსი

- ➢ თითოეულო ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ყოველი კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის სწავლის შედეგებს;

სასწავლო მასალები კარგად არის შერჩეული, თუმცა არსებობს ზოგიერთი ძირითადი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროა: სილაბუსში ჩამოთვლილი სასწავლო მასალები შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს, თუმცა კიდევ ერთხელ, ექსპერტთა პანელის რჩევაა რამდენიმე კურსის ბიბლიოგრაფიის განახლება.

ყოველი სწავლის შედეგი ფასდება, თუმცა ჩვენ ვთავაზობთ შეფასების ტიპების გაზრდას და კონკრეტულ კურსზე მორგებას.ყველა საგანი ფასდება სამი გამოცდით, ხოლო ექსპერტთა პანელის რეკომენდაციაა მეთოდოლოგიაში დაემატოს უფრო მეტი კრიტიკული აზროვნება.ამის მისაღწევად, სასწავლო კურსში და შეფასებაში უნდა შედიოდეს თვითშეფასების უფრო მეტი ამოცანა, ჯგუფებში მუშაობა, პრობლემების გადაჭრა, ამოცანებზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

| |
|---|
| X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროფესორებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა გა საუბრებებმა გვაჩვენა, რომ ტრანსფერული უნარები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი, კვლევა და რაც მთავარია ანალიტიკური უნარები, საჭიროა გაძლიერდეს, რადგან რესპონდენტები გამოკითხვის დროს სწორედ იმას უსვამენ ხაზს, რომ უჭირთ სადისერტაციო ნაშრომზე დამოუკიდებელი მუშაობა. დისერტაციის სასწავლო გეგმაში, მიუხედავად ამისა, ნახსენებია, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებლად უნდა აირჩიონ თემები და მასალები, ეს ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მზადყოფნას, რომ ხარისხიანად და დამოუკიდებლად წარმართონ სამეცნიერო მუშაობა.<br><br>ზოგიერთი სადისერტაციო ნაშრომის ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტებს აქვთ წყაროების დამოწმების პრობლემები (ბიბლიოგრაფია არ იყო ზუსტად შედგენილი), ჟანრულ კონვენციებთან დაკავშირებით და სრულად არ ესმით პლაგიატის ცნება.<br><br>ასევე, ვებგვერდზე ძალიან დეტალური და პროფესიონალური ინსტრუქციები არ არის მითითებული და გამოქვეყნებული, რომელსაც სტუდენტები გამოიყენებენ, როგორც გეგმას და / ან სახელმძღვანელო მითითებებს.<br><br>კიდევ ერთი პრობლემა, რომელმაც თავი იჩინა, არის ის, რომ სტუდენტებმა არ იციან, როგორ არის ორგანიზებული დაცვის პროცესი, ვინ დაესწრება დისერტაციის დაცვას, როგორ შეფასდება მათი ნაშრომები და ა.შ., ასე რომ, საჭიროა მეტი ინფორმაცია და აქცენტის აღება ამ მიმართულებით.<br><br>სამაგისტრო პროგრამაში არ არის პრაქტიკული კომპონენტი. ჯგუფს სურს ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ ინტერვიუს დროს სტუდენტებმა განაცხადეს, რომ კარგი იქნებოდა პოტენციურ დამსაქმებლებთან პრაქტიკის გავლა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>▪ სტუდენტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები (თანა-ავტორობით);<br>▪ სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები და ა.შ.<br>▪ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**<br><br>● ტრანსფერული უნარ-ჩვევები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი, კვლევა და რაც მთავარია ანალიტიკური უნარები, საჭიროა გამყარდეს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა ხორციელდება საკმაოდ კლასიკური მეთოდით: სესიები ძირითადად ლექციებია და თითოეული საგნის შეფასება ხდება სამი გამოცდის საშუალებით. უნდა დაინერგოს უფრო მეტად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, რათა ხელი შეუწყოთ დამოუკიდებელი შემეცნებლის, კრიტიკული მოაზროვნის და შემოქმედებითი პროფესიონალების ჩამოყალიბებას. ეს მეთოდები შეიძლება იყოს პრეზენტაციები, სემინარები, პროექტები, დავალებაზე დაფუძნებული აქტივობები, პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები, თვითშეფასების ღონისძიებები და ა.შ., ყველაფერი ეს შეიძლება განხორციელდეს სამაგისტრო დონეზე.<br><br>პროგრამა ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ონლაინ პლატფორმით, რომ სტუდენტს შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს ფორუმებში, დღიურებში, თვითშეფასების ანგარიშებში და ა.შ. (ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თუ სესიას გააცდენენ, შემდეგ ვერსად პოულობენ მასალებს). Moodle ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პლატფორმაა ევროპაში. |

პროგრამაზე არ არიან უცხოელი სტუდენტები, რაც სამწუხაროა, რადგან ეს გაამდიდრებდა სესიებს. პროგრამამ უნდა გაზარდოს ინგლისური ენის სწავლებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა. ამის გარეშე, უცხოელი სტუდენტები ვერ დაესწრებიან ლექციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

- უნივერსიტეტს უნდა ქონდეს ონლაინ პლატფორმა.
- პროგრამაში უნდა დაემატოს TIC აქტივობები/კურსები. ეს კარგი იქნება მათი კარიერისთვის. შესაძლოა, საკმარისი იყოს ონლაინ კურსი (რომელსაც ექსპერტი წაიკითხავს)

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მიუხედავად ამისა, ქაღალდზე, როგორც ჩანს, პროგრამა ინარჩუნებს ბალანსს ზეპირ და წერილობით შეფასებას შორის, რაც სრულიად აუცილებელია პროგრამებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ უცხო ენისა და კულტურის შესწავლას. გასაუბრებების დროს, მივხვდით, რომ შეფასების ტიპი კვლავაც ისეთივეა, როგორც ბაკალავრიატში: სამი გამოცდა და ზოგჯერ ზეპირი პრეზენტაცია.

ჯგუფს მტკიცედ სჯერა, რომ თითოეული საგნისთვის სამი გამოცდის ჩატარება ვერ შეაფასებს სტუდენტის მიერ შეძენილ კომპეტენციებს. დღეს ჩვენს სტუდენტებს სჭირდებათ

